

ნანა გონჯილაშვილი

Nana Gonjilashvili

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

შოთა რუსთაველის სახეობა გალაკტიონ ტაბიძის პოეზიაში¹

The Image of Shota Rustaveli in the Poetry of Galaktion Tabidze

DOI: <https://doi.org/10.62119/lr.45.2025.10019>

This paper identifies and examines, with relative completeness, the poetic works of Galaktion Tabidze in which the figure of Shota Rustaveli is represented. As it turns out, Galaktion refers to the great Georgian poet with considerable frequency. For Galaktion, Rustaveli is the highest, most magnificent, and unparalleled creator in poetry – “the glory of Georgia,” “the pride of the nation,” “sublime,” “the genius of a solar people,” “a titan,” “laureate with a wreath of laurels,” “immortal,” “the sun among suns,” “divine.” Galaktion consistently elevates Rustaveli and presents his greatness alongside that of the world's most distinguished poets – Virgil, Eschenbach, Petrarch, Dante, Shakespeare, Shelley, and Byron. For Galaktion, Rustaveli is the point of origin and the foundational figure of Georgian poetry. In portraying the glory of Georgia, he almost exclusively invokes Rustaveli.

The poet describes Rustaveli as the “light of the eye” of the ancient Georgian people, a spiritual beacon, and the creator of “mighty, heroic” poetry. For Galaktion, Rustaveli’s poetry embodies the “great celebration of creation,” a joy akin to communion with the divine. The “rhythm of words,” “the inner movement of thought,” “the diversity of sounds,” and harmony – all of these are defining features of Rustaveli’s verse. Galaktion regards Rustaveli as a creator of “pure conscience,” and The Knight in the Panther’s Skin, a guide and a mirror for life’s path, as a “book that triumphs with honest conscience.” In Galaktion’s view, among all creators of the world, only Rustaveli possesses the power to save. Rustaveli is a medium – firmly

¹ სტატია მომზადებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული N FR 23-8468 საგრანტო პროექტის – რუსთაველისა და ნიჟამის რეფლექსია თანამედროვე ლიტერატურასა და ხელოვნებაში – ფარგლებში.

grounded on earth yet reaching into the heavens, heir to the old and father of the new, standing at the intersection of horizontal and vertical dimensions of time and space. Hence, he is both redeemer and savior. Galaktion bows before and gives thanks to the “genius” of the past.

In Galaktion’s poetry, Rustaveli is frequently associated with Meskheti and referred to as a “Meskhetian poet.” This view derives from the first stanza of the epilogue of *The Knight in the Panther’s Skin*, where a “certain Meskhetian poet” claims to be writing in Rustaveli’s style. Galaktion appears to accept Rustaveli’s origin in Meskheti. In this understanding, Galaktion, like the Meskhetian poet of the epilogue, strives to follow in Rustaveli’s footsteps and offer a new word to Georgian poetry. Several of Galaktion’s poems reveal parallels between himself and Rustaveli, and between their respective eras. In some verses, Rustaveli emerges as Galaktion’s second lyrical “I,” through whose voice Galaktion conveys his own message. He conceives both Rustaveli’s and his own work as texts of the universe.

In a broader sense, Rustaveli in Galaktion’s poetry is represented as the embodiment of the Georgian people. Galaktion sees in him the “titanic” power, wisdom, love, indomitable warrior spirit, and self-sacrifice of the Georgian nation.

Rustaveli in Galaktion’s work bridges the old and new epochs – their thoughts and messages. Some poems are devoted to glorifying his grandeur, sublimity, and uniqueness, linking him to eternity. In other cases, the figure of the ancient Rustaveli is replaced by the desire for a new Rustaveli – a poetic idea born of Galaktion’s age, meant to praise an unprecedented reality, to sing of “revolutionary Georgia,” and to glorify a new era.

საკვანძო სიტყვები: გალაკტიონ ტაბიძე, რუსთაველი, სახე, რეცეპცია

Keywords: Galaktion Tabidze, Rustaveli, image, reception

გალაკტიონის პოეზიაში რუსთაველი და „ვეფხისტყაოსანი“, მათთან დაკავშირებული რემინისცენციები, ალუზიები და ენიგმები ერთიან სააზროვნო ნაკადს ქმნის და მკითხველისათვის, ტრადიციულთან ერთად, განსხვავებული ინტერპრეტაციით წარმოჩინდება. ზემოაღნიშნული საკითხი სხვადასხვა ასპექტითაა შესწავლილი სამეცნიერო ლიტერატურაში (მ. ებრალიძე, ფ. ნიშნიანძე, მ. გუგუშვილი, ლ. ანდლულაძე, ე. ხინთიბიძე, თ. დოიაშვილი, ნ. სულავა, ლ. კარიჭაშვილი, კ. ლომიძე და სხვ.). წინამდებარე ნაშრომი ერთ კონკრეტულ საკითხს ეძღვნება და მიზნად ისახავს რუსთაველის სახეების წარმოჩენა-შესწავლას გალაკტიონის პოეზიაში.

გალაკტიონის ლირიკაში რუსთაველი საქართველოს „მშვენება“, „ერის სიქადული“, „ჩანგ-სხივოსანი“, „მზიური ხალხის გენია“, „ტიტანი“, „დაფნის გვირგვინოსანი“, „უკვდავი“, „მზეთა მზე“ და „ღვთაებრივია“; „ბრწყინვალედ გამომსახავია“, „აღმაფრენის“ მომცემი, „შემოქმედების დიდი ნადიმის“ შემქმნელი, „მარგალიტთა დიდთა მტევნის“ გამომღები, „სიტყვათ... შადრევნის“ ოქროდ დამფერავი. „ბრწყინვალე შოთა“ საქართველოს ფარგლებს სცდება და გალაკტიონი მსოფლიოს დიდ შემოქმედთა წყებაში მის სიდიადეს წარმოაჩენს. ერთ-ერთი ასეთი ლექსია „მარტო არა ხარ“. უნდა აღინიშნოს, რომ ავტორისეულ შენიშვნებში ამ ლექსზე ასეთი ჩანაწერია გაკეთებული: „პოეტს“ დაიბეჭდოს უსათაუროდ“ (ტაბიძე, 1966ა, გვ. 425). ამდენად, ლექსი პოეტებს ეძღვნებათ. გალაკტიონი ყოფიერების სიმძიმით, სიყვარულის იმედგაცრუებით დატვირთული, „ფუჭი და წარმავალი დიდების“ მცნობი, მარტოობისგან თავის დასაღწევად (თავისი გამოცდილების კვალობაზე) პოეტებს (და, ალბათ, საკუთარ თავსაც) მოძღვრავს, წვრთნის, ანუგეშებს სიტყვებით, „რომ სხვა ღმერთიც გყავს“ და ხსნის გზას უჩვენებს. ეს თავშესაფარდაკარგული და მყუდრო ბინის ვერმპოვნელისათვის „სხვა მხარის“ არსებობის რწმენაა, სადაც მარტო არაა ადამიანი და „მეოცნებე სულს“ „სხვა ღმერთიც“ ჰყავს. ეს საოცნებო მხარე გალაკტიონისათვის პოეზიის საუფლოა, სადაც „მაღლდება პეტრარკას სული“ და „დანტეს ქნარი მუსიკობდა“, სადაც თავშესაფარს შელი და ბაირონი პოულობდნენ. სხვადასხვა დრო-სივრცული განზომილებით დასაზღვრულ „დაუდეგარი“ სულის შემოქმედთა მომკრებ „მყუდრო“ სავანეში, გალაკტიონი რუსთაველს მიუჩენს ბინას

*იქ რუსთაველის დატრიალებდა
შემოქმედების დიდი ნადიმი
(ტაბიძე 1966ა, გვ. 213).*

თუ ამ „სხვა ღმერთის“, პოეზიის, უსაზღვროებაში პეტრარკას „სული მაღლდება“ და დანტეს ქნარი „მუსიკობს“, გალაკტიონისათვის რუსთაველის მელექსეობა „ნადიმად“, „შემოქმედების დიდ“ ლხინად აღიქმება (სხვაგან – „რუსთაველის აღმაფრენა“ – ტაბიძე, 1966დ, გვ.194; „ბრწყინვალედ გამოხატავს“ – ტაბიძე, 1968, გვ. 21), ქვეყნიერების ღმერთთან თანაყოფნის სიხარულად (გვახსენდება რუსთაველის სიტყვები – „და სახლ-სამყოფი არა ჰმართებს, ცამცა გაიდარბაზესა“ – სტ. 676,4).¹ გალაკტიონისათვის მარტოობის „მძლეველი“ და ნაწამები სული ღმერთად აქცევს შემოქმედს, შემოქმედების ღმერთად. რუსთაველის თქმით, შაირობა „საღმრთო, საღმრთო გასაგონი, მსმენელთათვის დიდი მარგია“ (სტ. 12, 2), გალაკტიონი კი პოეზიას „სხვა ღმერთად“ სახავს, რომელიც ასევე შეეწევა პოეტებს გაუსაძლისი მარტოობის დასაძლევად.

„საუბარი ლირიკის შესახებ“ თვალნათლივ წარმოაჩენს რუსთაველის „გენიას“ და მის „ტიტანურ“ ძალმოსილებას სხვადასხვა ეპოქის პოეტთა (შექსპირი, ვირგილი, ვოლფგანგი) შორის –

და უფრო გზნებით –
რუსთაველის
უკვდავი ჩანგი
 (ტაბიძე, 1971, გვ. 143).

გალაკტიონისათვის „სიტყვათა რიტმი“, „აზრთ შინაგანი მოძრაობა“, „მრავალფეროება ხმათა“, ჰარმონია და ა.შ – ყოველივე ეს რუსთაველის პოეზიის მახასიათებლებია. პოეტი უძველესი ქართველი ერის „თვალის სინათლედ“, სულიერ ნათლად რუსთაველს ასახელებს, თავად „ბრწყინვალეს“ და „მძლავრი, გმირული“ პოეზიის შემოქმედს. გალაკტიონი ქედს იხრის და ემაღლიერება წარსულის „გენიას“.

გალაკტიონის დამოკიდებულება რუსთაველის მიმართ წარმოჩინდება ლექსში „რუსთაველი პარიზში“, რომლის მიხედვით, პოეტის საიუბილეო თარიღის (დაბადებიდან 750-ე წლის) წელი გალაკტიონისათვის სხვა წლებთან განსაკუთრებულ კანდელს, „ელვარეს“, „წითელსა“ და „ბადრს“.

¹ „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტს ყველა შემთხვევაში ვიმოწმებთ 1966 წლის გამოცემიდან, თბილისი: „საბჭოთა საქართველო“ (ი.აბაშიძის, ალ. ბარამიძის, პ. ინგოროყვას, ა. შანიძის, გ. წერეთლის რედ.).

კანდელი თვალშეუდგამი ღვთაებრივი ნათლის სიმბოლოა; მისი ეპითეტები – აღვსილობის, ბრწყინვალეობისა და დიდებულების აღმნიშვნელი – რუსთაველის დიდებულების წარმოჩენას ემსახურება. ეს წელი, გალაკტიონის თქმით, „შარავანდელი არის მთელ დროთა“ (ტაბიძე, 1966დ, გვ. 215). ამდენადაა რუსთაველი „ღვთაებრივი“ და ნათლის მფენელი.

გალაკტიონი ქართული კულტურის და, ზოგადად, საქართველოს სიდიადის წარმოსაჩენად არაერთ ლექსში ერთად მოიხსენებს ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის გამორჩეულ შემოქმედთ (შოთას, გურამიშვილს, ბარათაშვილს, ილიასა და აკაკის, ვაჟასა და ყაზბეგს) და ამ ჩამონათვალს მუდამ რუსთაველით იწყებს („ო, ნანა, ნანა, ნანა“, „ჩემო კარგო ქვეყანავ...“, „რა რიგ კარგია, სამშობლოვ...“ და სხვ.). ერთი ასეთი ლექსია „წიგნები ხალხს“, რომელშიც გალაკტიონი მტკვრის სანაპიროს ქართული ლიტერატურის წიაღად აღიქვამს. ამ „მმაფრ სანაპიროზე“ წარმოსახავს „ვეფხისტყაოსნის“ მოყმეს, რომელსაც გარემომცველი სივრცე უსმენს. ამ მოყმეში, შესაძლოა, ავთანდილიც და ტარიელიც მოიაზრებოდეს (კერძოდ, ავთანდილის „გალობა“ და ტარიელის „წყლის პირას“ ნახვა). ამდენად, გალაკტიონისათვის ყველა დროსა და სივრცეში რუსთაველი და მისი პოემა იხილვება.

„შვიდ სახალხო მგოსანს“ ასახელებს გალაკტიონი ერთ უსათაურო ლექსშიც („ჩემო კარგო ქვეყანავ...“) და მათ „ვარდ-ყვავილიან“ დროშებს, მშვიდობისა და მაისის დროშებს „უწვდის“, ფიცს დებს, რომ „არ უღალატებს“, მათს კვალს გაჰყვება და ამცნობს, რომ „მთელი მსოფლიოს ნახევარი ჩვენია!“ (ტაბიძე, 1972, გვ.127). გალაკტიონს სურს, რომ წინარე ეპოქათა შემოქმედებთან ერთად, რომელთა მხატვრულ სიტყვას მისი „ქნარიც“ უერთდება, „ახალმა“ საქართველომ იზეიმოს „ახალი“ ცხოვრება, ძმობა და მშვიდობა; რომ ამ „მგოსანთა“ უკვდავ პოეზიას ყველა დროსა და სივრცეში აქვს თავისი აწმყო და სამკვიდრებელი. ამას ნათელყოფს ერთ ავტოგრაფში (D) დაცული ტაეპები –

დაინგრევა ყველაფერი

სიძველეთა დიდთა გარდა

(ტაბიძე, 1972, გვ. 225).

საინტერესოა კიდევ ერთი გარემოება, კერძოდ, ლექსის გამოქვეყნებულ ვარიანტში პოეტი „შვიდ მგოსანს სახალხოს“ და „დაფნის გვირგვინოსანს“ ახსენებს, თუმცა, ჩამონათვალში მხოლოდ ექვსია

დასახელებული. სავარაუდოდ, მეშვიდეში გალაკტიონი თავის თავს გულისხმობს, რადგან, როგორც აღინიშნა, პოეტი მათს შემოქმედებით გზაზე ღირსებით სვლას ეფიცება. ამ ლექსის ავტოგრაფის ვარიანტებში ამ ადგილას „ექვსი მგოსანი“ ფიქსირდება. ლექსის საბოლოო ვარიანტში, როგორც ჩანს, ამ ექვს მგოსანს საკუთარი „ჩანგის გენია“ შეუერთა. ამავდროულად, ერთ ვარიანტში (E) გადახაზულია სტროფი, რომლის პირველ ორ ტაეპებში ამ მგოსანთა ჩამონათვალია, ხოლო ბოლო ორი ტაეპი ასე იკითხება –

*შენს მაისს მოელოდნენ ექვსი დიდი მგოსანი
რუსთაველი პირველი იყო ჩანგ-სხივოსანი (იქვე, გვ. 224).*

ამ ტაეპთა მიხედვით, ერთგვარად იცვლება ამ შემოქმედთა როლი. გამოდის, თითქოს, ისინი ოცნებობდნენ გალაკტიონის ეპოქის საქართველოზე, ვითარცა აღთქმულ ქვეყანაზე. საბოლოოდ, როგორც ჩანს, გალაკტიონმა ამჯობინა, რომ მათი სახელებით ყოფილიყო დამშვენებული „სამაისო“ საქართველო.

ლექსშიც „შოთასი, დავითიანის...“ ექვსი „სახალხო მგოსანი“ სახელდება, ავტოგრაფის ვარიანტებში კი იკითხება – „ხმა ჰქუხს გალაკტიონის“ და „ბრწყინავს გალაკტიონი“, ბოლოს კი – „ჩვენს შვიდ“ (ტაბიძე, 1970, გვ. 304). ამ ლექსშიც გალაკტიონი საკუთარ თავს „დაფნის გვირგვინით მოსილ“ დიდ ქართველ პოეტთა შორის მოიაზრებს.

პოეტის არქივში დაცულია უსათაურო ლექსი („რარიგ კარგია, სამშობლოვ...“), რომლის ყველა სტროფს რეფრენად გასდევს – „შოთა, ილია, აკაკი, ვაჟა!“ (ტაბიძე, 1972, გვ. 127). ლექსი ერთიანად შემოსაზღვრავს საქართველოს სივრცეს (მტკვარსა და რიონს, კავკასიონს), მის ჯვარსახოვნებას, ჰორიზონტალურ („დაბლა“) და ვერტიკალურ („მაღლა“) სფეროთა მიმართებას და ამ უკანასკნელს რწმენისა და თავდადების გამომხატავი გარემოთი (სიონით, გორის ციხითა და ბახტრიონით) წარმოაჩენს. ამ ყოველივეს მსჭვალავს პოეზია, რომელიც რუსთაველით იწყება.

ქართული პოეზიის ცნობილი „ექვსი მწვერვალია“ დასახელებული ლექსშიც „თენდება... გათენდა“. გალაკტიონისათვის „ვეფხისტყაოსანი“ სულიერი სიმშვიდის და ტყის იდუმალეებასთან მიახლების განცდებს მიემართება. პოეტი მას წარსულის (ბავშვობის დროის) „განახლების“ იმედს უკავშირებს. ამის საფუძველი, პოეტის თქმით, სიღრმისეული ცოდნაა შოთას მხატვრული სიტყვისა, რომელსაც უცდომელად გამოარჩევს, „როგორც თეთრს შავში“. ლექსის სათაური მაჩვენე-

ბელია იმისა, რომ გალაკტიონისათვის გათენება რუსთაველით იწყება და ქართველ შემოქმედთათვისაც იგი არის „გვირგვინად მუდამ პირველი, ტიტანი - შოთა!“ (ტაბიძე, 1968, გვ. 179). თუ შეიძლება ითქვას, ისაა ქართული ლიტერატურის „გათენება“.

საინტერესოა აკაკი წერეთლის პოეზიის გალაკტიონისეული შეფასება, რომელიც რუსთაველს უკავშირდება –

*არამედ თვით რუსთაველი,
ვის გენია ჰქვია ძველი
მას არ იუკადრისებდა,
როს ქვეშ მოეწერა ხელი
(ტაბიძე, 1971, გვ. 25).*

როგორც ჩანს, გალაკტიონისთვის აკაკი, რომელიც „ჩონგურს უთანაბრებს ქნარებს“ და „იშვიათი“, „რადაც დიდის და მაღალის“, „ქართული ხმის“ მქონეა, რუსთაველის დონის სათქმელს ამბობს; ამბობს „მარგალიტების მთების დადგმით“ და, რაც მთავარია, დიდი სიყვარულით (როგორც სხვა ლექსში შოთაზე წერს – რუსთაველის ძალა, „არის გადმოხეთქილი სიყვარული“ – ტაბიძე, 1973, გვ.304). აქაც რუსთაველი „ძველი გენიაა“, რომლის ბადალ სიტყვას გალაკტიონის ეპოქის შვილი – აკაკი – ამბობს.

თბილისში რუსთაველის ძეგლის გახსნას (მოქანდაკე მ. მერაბიშვილი) ეძღვნება გალაკტიონის ლექსი „ძეგლის გახსნა“, რომლის დასაწყისის წყარო კ. ლომიძემ მოიძია, კერძოდ, აქ გალაკტიონის მიერ მოხმობილი „მგოსანი“ ჰ. ჰაინეა და, შესაბამისად, მისი სიტყვებია ციტირებული. ამავდროულად, კ. ლომიძის აზრით, ამ მგოსანში შესაძლოა, გალაკტიონი თავის თავსაც გულისხმობდეს. აღნიშნულს, მართლაც, მოწმობს შემდეგი ტაეპები –

*მაგრამ მარადის სათაყვანო
დღეთ უსივრცოთა,
როგორც ყველასთვის, ისე ჩემთვის
ძეგლია: შოთა!“ (ტაბიძე, 1967, გვ. 132).*

„ძეგლი“ ამ შემთხვევაში ნიშნავს სათაყვანოს, სანიმუშოს, რომელიც უსასრულო, „უსივრცო“ დღეების წყებაში, მთელი საქართველოსათვის „უკვდავი სულია“.

ლექსში გალაკტიონი ცდილობს ძეგლის საზრისის ამოცნობას. მისი შეხედულებით, „გენიის უმართლესის“ შოთას გულზე დადებული ხელი „მრუდე“ „საუკუნეთ მისწრაფების“ გახსენების შედეგად აღსარებაა „სუფთა სინდისისა“. აქ გალაკტიონი, შესაძლებელია, ზოგადად წარსულის ტრაგიკულ ამბებს გულისხმობდეს, კონკრეტულად – ძველ ქართულ წყაროებში შოთას სახელის გაქრობა-ამოძირკვასაც, რასაც რუსთაველის „სუფთა სინდისს“ უპირისპირებს. „ლექსის ფინალი, რომელშიც „სუფთა სინდისია“ ნახსენები, ერთი მხრივ, ეხმაურება ნაწარმოების დასაწყისს – „მგონის“ სიტყვებს, რომელიც გამორიცხავს უსინდისობებთან ურთიერთობას, მეორე მხრივ კი, უკავშირდება გალაკტიონის ლირიკაში ამ პერიოდში არსებულ „ლიტერატურული სინდისის“ თემას, რომელსაც მისი არაერთი ნაწარმოები ეძღვნება“ (ლომძე 2024, გვ. 36).

გალაკტიონი მისთვის გამორჩეული და ერთადერთი „მხარის“, საქართველოს, დიდების წარმოჩენისას, მეტწილად, მხოლოდ და მხოლოდ რუსთაველის სახელს იმოწმებს. ნიმუშად შესაძლოა, დავასახელოთ ლექსი „მთვარის ნაამბობიდან“. ლექსში ოცნებას სინამდვილე მოსდევს, წარსულს – აწმყო. „ოცნებათა შემოწმებისას“ გალაკტიონის ფიქრი მთვარეს სწვდება და მის ნაამბობს გვასმენინებს –

*რუსთაველი მახსოვს ბავშვი,
ოცნებობდა ოქროს ნავში,
მიცქეროდა და თან თრთოდა
ვით ფოთოლი თრთის ნიაში*
(ტაბიძე, 1966დ, გვ. 263).

ე. ხინთიბიძე ამ სტროფის ახსნას ცდილობს „ვეფხისტყაოსნის“ იდეურ-მსოფლმხედველობითი სამყაროს ევროპულ-ქრისტიანული აზროვნების პროცესთან მიმართების საფუძველზე – „...რუსთაველი ევროპულ-ქრისტიანული ცივილიზაციის ჩვენი თანამედროვე ეტაპის ბავშვობაა... იგი ოცნებობს ადამიანურ მდიდრულ ნეტარებაზე... უცქერის მთვარეს, ანუ მინდობილია ზეცას, ტრადიციულ მითოსურ-ტრანსცედენტურ რწმენას და რუდუნებით, პასუხისმგებლობით და შიშით... ოცნებობს“ (ხინთიბიძე, 2004, გვ. 129).

რ. სირაძე პოემა „აჩრდილის“ პრობლემატიკის განხილვისას აჩრდილის, ვითარცა საქართველოს მარადთანამდევი უკვდავი სულის, ნათქვამთან – „მახსოვს ფარნავაჰ ჰაეროვანი“ – დაკავშირებით შენიშ-

ნავს „(იქნებ, ამით იყო შთაგონებული გალაკტიონის სიტყვები: „რუსთაველი მახსოვს ბავშვი“) (სირამე, 2008, გვ. 174).

ამ სტროფთან დაკავშირებით, ვფიქრობთ, მარადისობასთან მიმართებითაა რუსთაველი „ბავშვი“, რომ მისი ოცნებები, პოემის დასასრულს სამოთხისეულ სურათს რომ ხატავს („და შიგან მათსა საბრძანისთა თხა და მგელი ერთად სძოვდეს“ – სტ.1582, 4), გალაკტიონის წარმოდგენით, მხოლოდ ოცნებებია, რომელთა გამოთქმაც და ზეცისაგან თანადგომის სურვილიც „თრთოლა“-კრძაღვას იწვევს ზენაარის პირისპირ და „ოქროს საუკუნის“ პოეზიის „ოქროს ნავში“ მყოფ პოეტში. ლექსის დასასრულიც, ალბათ, ამას მიანიშნებს – რუსთაველის ეპოქას გალაკტიონის ახალი საქართველოს „გაოქროსფერების“ სურათი მოსდევს, ახალი „შრომითა“ და ახალი ოცნებებით.

საინტერესოა, რომ გალაკტიონისაგან რუსთაველის „ბავშვობის“ აღნიშვნა ასევე გვხვდება ლექსში „შოთა რუსთაველი შავი ზღვის პირად“. „ზამბახივით ნაზი ბავშვი...“ (ტაბიძე, 1967, გვ. 207), – ამბობს რუსთაველი თავისი ცხოვრების იმ პერიოდზე, როდესაც სამშობლოდან გადაიხვეწა. ამავე ლექსში „ოქროს ნავებიც“ იხსენება – „რღაც უცხო სიმსუბუქით მივეყვარ სიმთ ოქროს ნავებს“ (იქვე). „ოქროს ნავები“ ჩნდება ლექსშიც „იშლებიან ყანები“ – „სიმაღლეებს მიჰყვება ფიქრი, ოქროს ნავებით“ (ტაბიძე, 1966ბ, გვ. 236). ვფიქრობთ, გალაკტიონისგან რუსთაველის „ბავშვობის“ აღნიშვნა მისი სულის უმანკოება-სიწრფელის, სიფაქიზისა და „სიმშვიდის“ გამოკვეთას ემსახურება, ხოლო სიმბოლო „ოქროს ნავები“, რომელიც ზემოაღნიშნულ ლექსებში ოცნებისა და ფიქრის სიმაღლეთაკენ სვლას უკავშირდება, პოეზიის საუფლოს უნდა გულისხმობდეს („სიმთ ოქროს ნავებს“). სამივე ლექსში, ვფიქრობთ, აღნიშნული სიმბოლო ამ საზრისს მიჰყვება – რუსთაველი ოცნებობს პოეზიაში, ფიქრი პოეზიით სიმაღლეებისაკენ ისწრაფვის და გალაკტიონის ქნარის „სიმებს“ „უცხო სიმსუბუქე“ მოაქვს.

გაკალტიონი ლექსში „შოთა რუსთაველი შავი ზღვის პირად“ სამშობლოდან გადახვეწილი რუსთაველის დაბრუნების წარმოსახვით სურათს ხატავს, შავი ზღვის სანაპიროს მომდგარი მოყმე როგორ ეგებება მშობლიურ მხარეს. როგორც ჩანს, გალაკტიონისათვის მისაღებია სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება რუსთაველის საქართველოდან გადახვეწის შესახებ. გალაკტიონი თავის პოეტურ წარმოსახვაში აცოცხლებს „ამაყი და სახე მკრთალი“ რუსთაველის სამშობლოსადმი სიყვარულს მისი თავყვანისცემითა და „სისხლის რუებრი“ ცრემლებით. აქვე ზოგად შტრიხებში იკვეთება

სამშობლოს მოშორებული რუსთაველის ბიოგრაფიული შტრიხები, გარემოებათა გამო ქვეყნისაგან მოწყვეტა და „სხვა ცხოვრების სხვა გარემოთ უცნობ ზვავში“ იძულებით „შეჭრა“, მისგან უცხო მხარეების მოხილვა და იქ სიბრძნის დაუფლება. გალაკტიონი რუსთაველის სიყვარულით, მონატრებითა და მადლიერებით სავსე სიტყვებს გვასმენინებს –

*ხამს შესწირო კაცმა თავი
მხარეს – ედემს ამისთანას...
მის ვეფხობას, მის სიუხვეს,
სიყვარულს და ოქროს ხანას!*
(ტაბიძე, 1967, გვ. 207).

თითქოს გალაკტიონიც ესწრება ამ შეხვედრას და ისმენს პოეტის სიყვარულის მონოლოგს, სამშობლოსათვის ერთგულებისა და თავგანწირვის აღთქმას. ქვეყნის მიმართ რუსთაველის ერთგვარ აღსარებას გალაკტიონი საკუთარ სათქმელად იხდის, რუსთაველი მისი მეორე პოეტური „მეა“. შესაბამისად, მშობლიური მიწის სიყვარულის სადიდებელში მისი სიყვარულით დაუტევნელი გრძნობა-განცდები მუდავნდება. აქ „უთვალავი ფერით“ შემკული ქვეყნის ედემად აღქმა გალაკტიონის სუბიექტური განცდაა. პოეტი საქართველოს პიროვნულობით აღბეჭდავს და მისი შინაგანი ბუნების, თვისობრიობის მახასიათებლად ახალ სახეყმნადობას – „ვეფხობას“ – გამოკვეთს. „ვეფხობა“ აქ უშუალოდ რუსთაველის სახისმეტყველებას მიემართება და, ვფიქრობთ, ქვეყნის შეუპოვარ ბუნებასთან ერთად მისი მშვენიერების განცდას ითავსებს. გალაკტიონისათვის „ვეფხობა“, როგორც ჩანს, საუკეთესოდ წარმოაჩენს ქართველთა ხასიათს და, ამდენად, იგი ზოგადქართული სახების თავისებურებად წარმოდგება.

გალაკტიონის პოეზიაში რუსთაველი არაერთ ლექსში მესხეთს უკავშირდება და „მესხ მელექსედ“ მოიხსენება. ლექსში „ვწერ ვინმე მესხი მელექსე“ გალაკტიონი საკუთარ თავს წარმოსახავს მესხ მელექსედ, რომელიც მის შემოქმედებაში (და, ზოგადად, ქართულ სინამდვილეში) თამარზე გამიჯნურებულ „დიდებულ“, „ღვთაებრივ“, „მზეთა მზე“ რუსთაველს განასახოვნებს. ეს ლექსი (ისევე, როგორც ლექსი „შოთა რუსთაველი შავი ზღვის პირად“) ერთგვარად წარმოაჩენს გალაკტიონის მეორე პოეტურ „მეს“. აქაც ხდება ლირიკული სუბიექტის ჩანაცვლება და ლექსის სტრიქონებში რუსთაველის ხმას გალაკტიონის სიტყვა ესისხლხორცება, „ებანება“ და ერთიანად „გამოისმის“ –

*ვწერ ვინმე მესხი მელეესე,
რაც კი მივლია მე გზებში.
ჯერ ლექსი მწვავდა, მერე მზე,
ჯერ მზე და მერე ლექსები
(ტაბიძე, 1966დ, გვ.127).*

პირველი ტაეპი „ვეფხისტყაოსნის“ ეპილოგის პირველივე სტო-ფიდანაა უცვლელად გადმოტანილი („*ვწერ ვინმე მესხი მელეესე...*“ – 1583, 4). უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ ამ ტაეპის მიხედვით მეცნი-ერთა ნაწილი რუსთაველს მესხად მიიჩნევდა. ეპილოგისეული ტაეპის ბოლო ნაწილი – „*მე რუსთველისა დამისა*“ – სამეცნიერო ლიტერატუ-რაში სხვადასხვაგვარადაა გააზრებული; თუმცა, გამოკვეთილია შეხე-დულება, რომ ამას წერს უცნობი მესხი მელეესე რუსთაველის დარად, მისი მიბაძვით. საინტერესოა, ის ფაქტი, რომ ხელნაწერის ერთ-ერთ ვარიანტში (C) მე-2-3 სტრიქონებს შორის გადახაზულია – *მე რუსთვე-ლისა და მისა* (ტაბიძე, 1966დ, გვ. 353), რაც, როგორც ჩანს, ლექსში ისე-დაც იგულისხმება.

გალაკტიონი ამ სიტყვებით, შესაძლოა, რუსთაველის კვალობაზე, ერთიანად გამოთქვამდეს შოთასა და თავის სათქმელს, რომელიც დროსა და სივრცეს „გადასაზღვრავს“. ზემომოხმობილი სტროფის ბო-ლო ორი ტაეპი, ვფიქრობთ, სიტყვამჭევრობასთან ერთად სხვა შინა-არსსაც იტევს. მზითა და ლექსით „წვა“ შემოქმედებით წვასა და ხედ-ვას უკავშირდება; იმ სიყვარულის მზიურ ცეცხლს, მელეესეს რომ დასწვავს და მსმენელსაც სულის გასამზევებლად ამ ცეცხლს რომ აზი-არებს. თავად „ვეფხისტყაოსანს“ შემთხვევით ხომ არ უწოდებენ „მზი-ურ პოემას“.

გალაკტიონისათვის „შაირი“, პოეტური სიტყვა, „ნასროლი ისა-რივით“ უნდა აღწევდეს მიზანს (რუსთაველით – „*ლექსთა... თქმა და ხევა*“); მისი ჰანგი ერთიანად უნდა იტევდეს „ქუხილსა“ და „რხევას“, „კვნესასა“ და დაისისებურ სიმშვიდეს („*მოდაისარი*“). მისთვის პო-ეზია სიცოცხლეა, სუნთქვა და ჰაერია; პოეტური სიტყვა სულია ცხოველმყოფელი.

*შმაგი, ვით ვეფხვი დაჭრილი,
მშობლიურ მთა და ველებზე,
ვარ ოცნებისთვის გაჭრილი
მე, ვინმე მესხი მელეესე
(ტაბიძე 1966დ, გვ. 128),*

– ამბობს გალაკტიონი და თავს (და „შეფარვით“ რუსთაველსაც, რომელიც „ოცნებობდა ოქროს ნავში“) საქართველოს სიყვარულითა და პოეზიით „დაჭრილ ვეფხვად“ მოიაზრებს, „ვეფხისტყაოსნის“ გმირივით „ოცნებისათვის გაჭრილ“ მოყმედ. ზემოაღნიშნულს ცხადყოფს ჟურნალ მნათობში (1943, №4, გვ. 6) დაბეჭდილი ლექსის ბოლო სტროფის შემდეგი ვარიანტი –

*ვწერ ვინმე მესხი მელექსე,
ველად გაჭრილის სადარი,
ვერ ჰპოოთ მთა და ველებზე
შოთას სამარე სად არი
(ტაბიძე, 1966დ, გვ. 353).*

ამდენად, გალაკტიონი, როგორც „ვეფხისტყაოსნის“ ეპილოგის „ვინმე მესხი მელექსე“, რუსთაველის კვალობაზე წერს და მის მსგავსად თავს გაჭრილ და „შმაგ“ მელექსედ სახავს, ხოლო შოთას „სამარის“ ვერმიგნება, ალბათ, ყველა დროსა და სივრცეში მის ყოფნას გულისხმობს.

ლექსში „საუბარი ტალღებთან“ გალაკტიონი ხალხისაგან პოეტის დაფასება-დაუფასებლობის შესახებ საუბრობს, რაც თავად მისთვის სიკვდილ-სიცოცხლეზე გადის. აქაც გალაკტიონის მეორე პოეტური „მე“ რუსთაველია.

*ო, თავს მოიკლავს შოთა,
თუ არ დაუკრეს ტაში
(ტაბიძე, 1968, გვ.79),*

– ამბობს პოეტი და ამ ფრაზებში რუსთაველის სახელს მიღმა გალაკტიონის წუხილი მოისმის.

რუსთაველთან მიახლების, მასთან თანაზიარობის სურვილი ჩნდება ერთ უსათაურო ლექსში („ელვარე და ლომფერი...“), რომელსაც ავტოგრაფის ვარიანტებით სათაურებად აქვს – „ცხრათვალა“, „სიყვარული“, „რიცხვი ცხრა“, „ცხრა ოქტომბერი“ (ტაბიძე, 1966ა, გვ. 468). ლექსი რიცხვი 9-ის სიმბოლიკაზეა აგებული. რიცხვი ცხრა, როგორც ცნობილია, თავის თავში დასრულებულ ციკლს მოიცავს სამჯერადი გასამებით. იგი საკრალური რიცხვია, ჰარმონიის რიცხვი, რომელიც იდეის სრულყოფილებას გამოხატავს. სხვადასხვა ხალხთა რელიგიაში, მითოსსა და ფოლკლორში არსებობს ცხრა ცა, ანგელოზთა ცხრა

გუნდი, ცხრა ნეტარება, ცხრა მუზა, ცხრა ზღვა, ცხრა ძმა, ცხრა მთა, ცხრათვალა მზე და ა.შ. ლექსში ამ რიცხვთან დაკავშირებით მოხმობილია – ცხრათვალა მზე, ცხრამუხა, ცხრაწყარო, ცხრა სიყვარული, სატრფოს ნახვის დღე - 9 ოქტომბერი. ავტოგრაფის ერთ ვარიანტში (B) იკითხება, რომ თავად გალაკტიონი 9 ოქტომბერს დაიბადა, თუმცა, ეს სინამდვილეს არ შეესაბამება. შესაძლოა, ეს სიმბოლური ნათქვამი იყოს და მის „ახალ“ დაბადებაზე მიაწიშნებდეს. აქვე გალაკტიონი მოიხმობს რუსთაველს –

*რუსთაველი - ხანია,
ისიც ცხრა ანბანია...
(ტაბიძე, 1966ა, გვ. 298-299).*

ამ შემთხვევაში გალაკტიონი „ანბანს“ უწოდებს ასო-ბგერებს, შესაბამისად, სიტყვა „რუსთაველი“ ცხრა ასო-ბგერისაგან შედგება. საინტერესოა, რომ ერთ ავტოგრაფში (B) სხვა ვარიანტი იკითხება –

*ცხრა ანბანია ხმა. რუსთაველი
ცხრა ანბანია – გალაკტიონიც
(იქვე, გვ. 469).*

„ხმა“ აქ ბგერას უნდა ნიშნავდეს. სახელი „გალაკტიონი“ ცხრა ასო-ბგერისაგან შედგება. ამ აღნიშვნით პოეტი რუსთაველთან თავის მსგავსებას გამოკვეთს, რაც, სავარაუდოდ, ვითარცა „მეფისა და მგონის“ მეფე-პოეტთან სასურველ სიახლოვეს „შეფარვით“ მიაწიშნებს. ერთიანად ლექსში იკვეთება ცხრასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი მოვლენები – მზე, სივრცე (ცხრამუხა, ცხრაწყარო) და დრო (9 ოქტომბერი), სიყვარული, სატრფო, პოეზია და რუსთაველი.

გალაკტიონისა და მისი „ხანის“ რუსთაველთან და მის ეპოქასთან „მსგავსების“ წარმომჩენელია ლექსი „ეპოქა გალაკტიონის“ –

*იყო ბრწყინვალე შოთას ეპოქა,
და იმის მსგავსად, ტიტანის ღონის,
არა ამაოდ ჩვენს ხანას ჰქვია –
ეპოქა დიდი, გალაკტიონის .
(<https://galaktion.ge/?page=Poetry&id=2764>)*

როგორც ჩანს, გალაკტიონისათვის შოთა „ბრწყინვალეა“ და მისი „ტიტანური“ ნააზრევი – ეპოქის განმსაზღვრელი. მართალია, შოთას-

თან მიმართებით იგი საკუთარ თავს მოკრძალებით წარმოაჩენს, თუმცა „დიდი ეპოქის“ საკუთარ („გალაკტიონის“) ეპოქად მიიჩნევა „მგოსანთ სითამამედ“ და მეფე-პოეტად წარმოდგენას უხსნის გზას.

ლექსიც „ო, ქვეყნიურო სამოთხე“ გალაკტიონის რუსთაველთან მიმართებას წარმოაჩენს, მხოლოდ განსხვავებული ნიუანსით –

*და ყველა ერთად: ცა, ზღვა, მთა
ჩვენი ველისა და წყალის,
ლექსია რუსთაველის და,
გალაკტიონის საწყალის
(ტაბიძე, 1972, გვ. 123).*

გალაკტიონი, ერთი მხრივ, რუსთაველისა და საკუთარ შემოქმედებას მთელი სამყაროს განმასახოვნებლად მიიჩნევს, რითაც ეთანატოლება რუსთაველს, მეორე მხრივ, „შეფარულ“ თავმდაბლობას (ვფიქრობთ, ერთგვარი იუმორითაც) იჩენს და „დიდებული შოთას“ გვერდით თავს „საწყლად“ წარმოაჩენს.

ლექსი „მესხის გამოხედვა“ კვლავაც ქართველის საამაყო („ამაყობდა ქართველი“) „ერთ ვინმე მესხს“ – რუსთაველს – უკავშირდება. აქ რუსთაველი, ზოგადად, ქართველთა სახებადაა წარმოდგენილი. გალაკტიონი „ვინმე მესხის“ შორეულ მემკვიდრეებშიც მის „ტიტანიურ“ ძალას შეიგრძნობს.

*იმ გამოხედვით არეებს
უკვდავი ცა მიესხურათ,
ვეფხვების შემოგარეებს
სხვა ვერვინ იტყვის მესხურად
(ტაბიძე, 1966დ, გვ. 198).*

შოთას „მზიურ გამოხედვაში“, რომელიც, პოეტის თქმით, სიწრფელითა და სიმართლითაა გამორჩეული, გალაკტიონი სიბრძნეს, ცადაწევნილ სიყვარულს, „ტკბილ-ქართულს“, გაუტეხელ მეომრულ სულს ხედავს. ეს ყოველივე ქართველთა ეროვნულ მახასიათებელად განიცდება – „ქართველში გამოხედვაა იმ ერთი ვინმე მესხისა (იქვე). ავტოგრაფის ვარიანტში (B) პირველად ყოფილა „ჩემშიც ხომ“, შემდეგ – „მასშიც ხომ“, ბოლოს – „ქართველში“ (ტაბიძე, 1966დ, გვ. 414). ამდენად, გალაკტიონი შოთას ზოგადქართულ სახე-ხასიათად წარმოსახავს.

ი. კენჭოშვილის აზრით, „ლექსში „ვერ ვინმე მესხი მელექსე“ (1936) და „მესხის გამოხედვა“ (1940) წარსული, კერძოდ, რუსთაველი დანახულია როგორც მარადიული აწმყო. ამ ორი ლექსის ერთიანობის განცდას ხელს უწყობს მათში გამოყენებული საზომის, რითმებისა და სტროფების ერთგვაროვნება და „ვინმე მესხის“ დანახვა ყველა დროისა და ყოველთა ქართველთა პროტოტიპად...“ (კენჭოშვილი, 1999, გვ. 197).

გალაკტიონი კვლავ უბრუნდება მესხი პოეტის შესხმას და „მესხის გამოხედვას“ „ისევ მესხის გამოხედვა“ მოსდევს. პოეტის წარმოდგენით, რუსთაველი მრავალი ქართველის, ომებისა და სიკვდილის მომსწრეა, „ოქროსფერი წლების“ მნახველიც. რაც მთავარია, შოთა ყოველივე ამის „ბრწყინვალედ გამომსახავია“. ამიტომაც „დიდებული“, „უკვდავების მატარებელი“, საქართველოს „მშვენება“, „ერის სიქადული“, „მზეთა მზე“ და „ღვთაებრივი“ (გალაკტიონი, 1966დ, გვ.198). შოთა გალაკტიონისათვის არა „ობოლი მარგალიტის“, „მარგალიტთა დიდთა მტევნის“ გამომღებია, ხოლო მისი პოეტური სიტყვა („სიტყვათ... შადრევანი“), „ცემა ჩოგანთ შნოთა“ (რაც რუსთაველისეული „ხელ-მარჯვედ სცემდეს ჩოგანსა...“ გარდათქმაც) „ოქროდ“ განიცდება. გალაკტიონის თქმით, რუსთაველი თავისი უსაზღვრო სიყვარულითაა „მზეთა მზე“ და ღვთაებრივი. ეს საქართველოს სიყვარულია, თამარის სიყვარულია, „ვეფხისტყაოსნის“ სიყვარულია.

რუსთაველი-მესხი და ვეფხვის სახე-სიმბოლო გალაკტიონის კიდევ ერთ ლექსში – „მესხეთ-ჯავახეთი“ – წარმოჩინდება. გალაკტიონი „ვეფხისტყაოსნის“ სიტყვას შეეხმიანება და ამ კუთხეს საქართველოს „სახეს“, მის „ფერს“ უწოდებს. აქვე პოეტის ნატვრა-ოცნებაც ჩანს:

*ამოდრავდეს მთა და ქედი, გამობრწყინდეს ქართლის ბედი,
ახმაურდეს ვეფხი მეტი, მეტის ძალით და იმედით –
დღეგრძელობდეს მესხი, თან ის მესხი უახლოეს ხანის,
მესხი „ვეფხისტყაოსნის“, მესხი – მესხეთ-ჯავახეთის!*
(ტაბიძე 1968, გვ. 232).

ლექსში „ვეფხვი“ და მისი „ხმაური“ ქართველ კაცს მიემართება და ვეფხვებრი სიძლიერის, შემართებისა და იმედით აღვსების ნატვრას უკავშირდება. „ვეფხი“, ერთგვარად, წარსულისა და აწმყოს გამაერთიანებელი სახეა, ქართველის სახე-ხასიათი, რომელიც „ვეფხისტყაოსნის“ „მესხი“ რუსთაველისა და გალაკტიონის თანადროულ მესხეთ-ჯავახეთის მკვიდრთა სისხლხორცეულ კავშირს გულისხმობს.

ზემოგანხილულიდან როგორც ჩანს, რუსთაველი გალაკტიონის პოეზიაში ძველი და ახალი ეპოქის სათქმელ-საფიქრალს უკავშირდება. ლექსების ერთი ნაწილი მისი სიდიადის, ზეადმატებულობის, შეუდარებლობის წარმოჩენას ეძღვნება და მარადისობას უსწორებს თვალს; რიგ შემთხვევაში, ძველ რუსთაველს ახალი რუსთაველის გამოჩენის სურვილი და მისწრაფება ენაცვლება, რაც მისი თანადროული ეპოქის „ახალი“ პოეტის სახე-იდეის გამოძერწვა-ქმნადობითაა გამოწვეული.

ლექსში „ჩვენი ელვარე ოქროს ეპოქა“ „ვეფხისტყაოსანი“ გალაკტიონისათვის „რევოლუციონურს, ჯერ არნახულს, ჯერ არგაგონილს“ საქართველოს იმ აწმყოს უკავშირდება დიდი სიახლის, ახალი ცხოვრების დასაბამის იმედი რომ ახლავს, სიკეთის, ბედნიერების რწმენის აღსავსეობის შეგრძნებას რომ ბადებს. თუ სასულიერო მწერლობის „ეპოქა დამთავრდა დიდი“ და რუსთაველი ახალ მხატვრულ სინამდვილეს ახალი მსოფლმხედველობით ამკვიდრებს „ოქროს საუკუნეში“, გალაკტიონის „ოქროს ეპოქაში“ უდიდესი ნებისყოფითა და წარმოუდგენელი, „უაღრესი“ გმირობით აღსავსე „რევოლუციონური“ რეალობა დაასრულებს „ძველის ნგრევას“ და „ქმნის სულ სხვა ახალ ვეფხისტყაოსანს“ (ტაბიძე, 1966გ, გვ.121). პოეტის თქმით, „გარდატეხათ უდიადესი აზრის“ ხორცშესხმას „სხვა, ახალი „ვეფხისტყაოსანი“ შეძლებს. გალაკტიონისათვის, როგორც ჩანს, რუსთაველის პოემა ვერ შეძლებს იმ ძვრათა ასახვა-გადმოცემას, რაც მისმა თანადროულმა ეპოქამ მოიტანა.

ამავე ციკლიდანაა ლექსი „მხურვალე სალამი პროლეტარ მწერლებს“, რომელშიც „ვეფხისტყაოსანი“ მხოლოდ და მხოლოდ მაღალი პოეზიის სფეროა და მას ცხოვრებასთან კავშირი არ აქვს; იმ ცხოვრებასთან,

*როცა ცხრაას ჩვიდმეტის ცეცხლოვანი ბზრიალა
დატრიალდა და ქვეყნის თავზე გადიგრიალა
(ტაბიძე, 1966გ, გვ. 383).*

გალაკტიონის თქმით, „ცეცხლისმფრქვეველი კლასისა“ და წითელი დროშების სამყაროში ახალი რეალობა ქმნის ახალ ცხოვრებას (რომელიც ძველს არ ჰგავს) და ახალ აზროვნებას, რომელიც აუქმებს ძველს და ახალ დებულებებს გამოკვეთს –

*დამტკიცდა ისიც, რომ
ცხოვრება არ არის
ვეფხისტყაოსნური
რითმათა მთოვარება
(ტაბიძე, 1966გ, გვ. 384).*

ამ „დებულების“ კვალობაზე, როგორც ჩანს, შოთა რუსთაველის პოემა, რომელიც „საღმრთო საღმდთო გასაგონი, მსმენელთათვის დიდი მარგია“ (სტრ. 12, 2), იმ ეპოქისთვის „უცხოა“. მისი „რითმათა მთოვარება“, რომელიც, სავარაუდოდ, სიმწყობრეს, ჰარმონიას, ადამიანის ახალ იდეალს მიემართება და არა მხოლოდ ლექსთწყობას, „არ არის ცხოვრება“, „რევოლუციონური“ ცხოვრება, რომლისთვისაც „არყოფნა არის ცა“ და არა „რომელმან შექმნა სამყარო...“.

რუსთაველისა და „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ სხვაგვარი აზრია გამოთქმული ლექსში „ისტორიის ახალი გვერდი“, რომელიც კვლავაც განადიდებს ოქტომბრის რევოლუციის შედეგად „ამომსკდარ წყარო ანკარას“, მიწასა და ცას რომ *მოჰვინა ჯერარსმენილი აღტაცება* (ტაბიძე, 1966დ, გვ. 360). გალაკტიონი საუბრობს წინანდელ საქართველოში „ისტორიულად არწარმავალ“ შურსა და მტრობაზე, რომელიც ბნელს ჰფენდა, „შხამავდა“ ყოვლგვარ ნათელს –

*ის ანადგურებს ვეფხისტყაოსანს,
რომ რუსთაველის ჩაკლას გენია
(ტაბიძე, 1966დ, გვ. 138)*

ავტოგრაფში (B) აღნიშნული ტაეპები გალაკტიონს სხვაგვარადაც შეუთხზავს, თუმცა გადაუხაზავს კიდეც, კერძოდ – „*ის აბნელებდა მზიურ გენიას*“, „*მისთვის მზიური ხალხის გენია*“ (იქვე, გვ. 361). პოემის განადგურებაში, სავარაუდოდ, გალაკტიონი გულისხმობს პოემის დევნას და ცნობას მისი დაწვის შესახებ, რომელსაც, სამეცნიერო ლიტერატურის ადრეულ ეტაპზე ანტონ I-ს უკავშირებდნენ. ამდენად, გალაკტიონისათვის „თვალწარმტაცი ახალი ხანა“, რომელიც სიცოცხლის ფარულ ძალებს გრძნობს და „მადლა-მადლა“ იწევს, ქმნის ისტორიის ახალ გვერდს. როგორც ჩანს, პოეტის აზრით, მისი ეპოქა პოეზიას და შემოქმედთ სათანადო პატივს მიაგებს.

ლექსში „როგორც წუხილი არაგვის კიდის“ წარსულის გახსენება პოეტისათვის არაგვის კიდის განცდებს, სატკივარ-წუხილს, ფაზისის ზვირთთა სწრაფ, „ჩქარ“ დინებას უკავშირდება და, ერთგვარად, მათ-

თან ასოცირდება. დროთა ცვლა თაობათა ცვლაა და სწორედ ესაა ამ წუხილის საზრისი. აქვე, კითხვის ფორმით (რაც, ერთგვარად, სინანულის გამოძახატველია) იხსენება რუსთაველი, ვითაცა გარდასულ დღეთა მკვიდრი – „და რუსთაველიც იმ დღის არ არის?!“ (ტაბიძე, 1966ბ, გვ. 239). გალაკტიონი ამ რამდენიმე სახასიათო შტრიხით თითქოს შემორკალავს წარსულის მიმართ აღძრულ მძაფრ შეგრძნებებს და ამ სიმძიმეში რუსთაველის გახსენება სიდიადის, ამაღლებულობისა და მშვენიერების განცდებით უნდა აღავსებდეს ისტორიას, „სანახაობათა რიდის“ ცვლით რომ ხასიათდება. თუმცა, ლექსში რუსთაველი ძველი დროის წასვლის „ეფემერიდის წუხილთან“ ასოცირდება.

ლექსში „ჩვენი დრო ისევ რუსთაველს ელის“ წარმოჩინდება რუსთაველის პოემის გალაკტიონისეული რეცეფცია და ინტერპრეტაცია, რომელიც, ვფიქრობთ, სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულ ზოგიერთ შეხედულებას მიჰყვება. აქ „ძველი სასახლე“ ძველ დროზე მიანიშნებს და, როგორც ლექსიდან ირკვევა, ეს რუსთაველისა და თამარის დროა. ლექსში მთავარ პერსონად ვეფხვის ტყავებით დამშვენებული ავთანდილი წარმოდგება –

*ძველ სასახლეში ვეფხვის ტყავებით
ფარავდა ვინმე გობელენს, მანდილს,
შვენოდა იგი ფერ აყვავებით
აქ სადარბაზოდ მოსულ ავთანდილს*
(ტაბიძე, 1966ბ გვ. 199).

„უხმო დროს“ გახსენებისას გალაკტიონის წარმოსახვაში „რეტროსპექტივით“ ჩნდება თამარი, რომლის სახე, ჩვეულებისამებრ, დიდებულებითა და ბრწყინვალეობით არაა წარმოდგენილი, „ლანდივით სიჩუმე“ ახლავს და „გამშრალთა ცრემლთა ნაწამწამარი“ კვალი ამჩნევია. ლექსის მიხედვით, როგორც ჩანს, რუსთაველს ავთანდილი განასახოვნებს. მას, „არაბეთიდან მოსულ მონას“, „მცოდნეს ჰაფიზის, მცოდნეს გაზელის“, თამართან „ფარისი და სპარსეთიდან ლექსების კონა“ მიაქვს. სიყვარულის არაბი „მონის“ ამგვარი გააზრება თავად რუსთაველს „შემშენის“, სპარსულ-არაბული პოეზიის მცოდნესა და თამარისადმი „არ-ავად გამორჩეულ“ ქებათა მთქმელს, „მისთვის გულ-ლახვარ-სობილს“. გალაკტიონის მიერ ავთანდილის სახეში რუსთაველის წარმოდგენა მიჰყვება სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებებს, რომ პოეტი თავის სახე-„ფერად“ ტარიელს ან ავთანდილს სახავს.

ვეფხვისა და ვეფხისტყაოსნობის ავთანდილთან მიმართება წარმოჩენილია თეიმურაზ I-ის ნათარგმნი თხზულების „მიჯნურთ ამბავი იოსებისა და ზილიხანისა“ შესავალში. აქ აღნიშნულია ავთანდილის თავდადება ტარიელისადმი – „ძებნა, უპოვა მზე ლომსა, თვით მიხვდა ვეფხი მთვარესა...“ (თეიმურაზ I, 1933, გვ. 62). (გავიხსენოთ, ნესტან-ტარიელის ქორწილში ფრიდონმა ავთანდილს შავ-ყვითლით „რეული“ „საჯდომი“ დაუდგა, რაც, სიმბოლურად, მისი ვეფხისტყაოსნობის მიმანიშნებელია). ზემოაღნიშნული თეიმურაზ მეფის პოემის სიღრმისეული წვდომის მაჩვენებელია.

გალაკტიონი ზემომოხმობილ ტაეპებში, როგორც ჩანს, სხვადასხვა მინიშნებებს (კოდებს) დებს. ლექსთა სპარსეთიდან ჩამოტანის აღნიშვნაც, ვფიქრობთ, არაა შემთხვევითი. ეს პოემის „სპარსულ ამბად“ მიჩნევის გამოძახილი უნდა იყოს, თუმცა, იქვე „ლექსების კონის“ ხსენება, სულხან-საბას „სიტყვის კონის“ კვალობაზე, ქართულ სინამდვილეს, „ქართულად ნათარგმანებს“ უნდა გულისხმობდეს. რაც შეეხება „მცოდნეს გაზელის“, როგორც ცნობილია, „გაზელის“ (ღაზალის/ყაზალის) სრულყოფილება არაბულ-სპარსული პოეზიაში ჰაფეზის სახელს უკავშირდება. ალბათ, ამიტომაცაა, ლექსში ჰაფეზი და „გაზელი“ ერთად დასახელებული. ღაზალის ლირიკული გმირი, როგორც ცნობილია, უპირისპირდება სატრფოს, ბედს, ამქვეყნიურ მწუხარებადარდს, ასევე - მბრძანებელს, ღმერთს. ლირიკული გმირი ცდილობს, შეერწყას თავისი ვნებისა და ოცნების ობიექტს, გადალახოს მათ შორის არსებული უფსკრული. ეს წინააღმდეგობა არასოდეს დაიძლევს. შესაძლოა, გალაკტიონთან „გაზელის“ ეს შინაარსიც „მეფარვით“ ნათქვამი იყოს და „უწყალო ჯიქი“-თამარისადმი „მისთვის მკვდარი“ რუსთაველის „ვერ მიახლების“ მიმანიშნებელი.

ლექსის ასეთი დასასრული და, შესაბამისად, სახელწოდება, ვფიქრობთ, მიემართება მოლოდინს სხვა, „ახალი“ რუსთაველის გამოჩენისა, რომელიც „ჯერ არ ნახულ“ სინამდვილეს, „რევოლუციონურ საქართველოს“ ქებით შეამკობს და განადიდებს, გულისგასაგმირ „ლექსთა ტკბილთა“ გამოთქვამს და, სავარაუდოდ, იმა ქვეყნის მპყრობელთა (*„ვის მორჩილობს ჯარი სპათა, მისთვის ვხელობ, მისთვის მკვდარი“* - სტრ. 8,3) „მათად საქებრად“ „ბრძანებასაც“ შეასრულებს, „არ-ავად გამორჩეულ“ ხოტბას უძღვნის („საქმე ვქმენ საჭოჭმანები“). გალაკტიონის ამ ფრაზაში – „ჩვენი დრო ისევ რუსთაველს ელის“ – ისიცაა გაცხადებული, რომ ჯერ არაა გამოჩენილი ასეთი რუსთაველი და, შესაბამისად, პოეტი მომავალ რუსთაველში თავის თავს არ მოი-

აზრებს (მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ ბევრი ლექსი აქვს მიძღვნილი „ახალი“ და „რევოლუციური“ საქართველოსათვის).

მსგავსი აზრი იკითხება ლექსში „*** სამშობლო ჩემი ხმაურობს“, რომელშიც გალაკტიონის ეპოქის საქართველო რუსთაველის სადარ მგოსანს ელის – „*მგოსანი შოთას სადარი, დიდებით სადიადარი – სად არი დიდი მგოსანი?*“ (<https://galaktion.ge/?page=Poetry&id=3216>).

აღნიშნულ საკიხზე მსჯელობისას ზ. შათირიშვილი დასძენს: „*მაშ ასე, ახალი რუსთაველი, ჩვენი აზრით, ესაა როგორც თავად ახალი პოეტი, რომელიც რუსთაველს გაუტოლდება, ისე ახალი აპოკალიპტურ-მესიანისტური ნარატივი*“ („რუსთაველი“ კი არის „ძველი“ – კლასიკური, მაგრამ ასევე მესიანისტური ნარატივი) (შათირიშვილი 2004, გვ. 154) და „*რევოლუციური ეპოქა ელის „ახალ რუსთაველს“, ახალ რევოლუციურ პოეტს და „ახალ ნარატივს“*“ (რუსთაველი, ცხადია, მეტონიმიურად პოემასაც აღნიშნავს)“ (შათირიშვილი 2004, გვ. 156).

საინტერესოა ის ფაქტი, რომ გალაკტიონის ავტოგრაფის ერთ ვარიანტში (B) ბოლო ტაეპი – „ჩვენი დრო ისევ რუსთაველს ელის“ – გადახაზულია და მის ნაცვლად წერია – „მაგრამ ამ დღეებს კვლავ აღარ ელის“, ხოლო C ვარიანტში შეცვლილია სათაური – „დენდიზმი XII საუკუნეში“. ლექსის ზემოაღნიშნული დასასრული, განსხვავებით მისი საბოლოო სახელწოდებისაგან, პესიმისტურია და ერთგვარი სინანულიც ვლინდება; სურვილი კი არის, მაგრამ მოლოდინი – არა. რაც შეეხება შეცვლილ სათაურს – „დენდიზმი XII საუკუნეში“, მასში ერთგვარი ირონია ჩანს, რომელიც გალაკტიონის მიერ წარმოჩენილ „რეტროსპექტივის“ შინაარსს მიემართება, თუმც კი ლექსის კითხვისას ეს არ იგრძნობა. ყოველ შემთხვევაში, ლექსის ავტოგრაფის ვარიანტის სახელწოდებაში ავთანდილ-რუსთაველის სახით წარმოჩენილი პიროვნება და მისი საქმე ახალი დროებისათვის დენდიზმად აღიქმება.

საყოველთაო ნგრევის, ქაოსის, მეორედ მოსვლის სურათს ხატავს ლექსი „კოსმოსური ორკესტრი“, რომელიც ვულკანური „ბოლებისა“ და ზვირთების ხმაურით, რღვევითა და გამაყრუებელი გუგუნით იხილვება და ისმინება, ერთიანად რომ შესძრავს კაცობრიობას და „ერთადერთ, მძლავრ მუსიკად!“, კოსმიურ მუსიკად გამოისმის. გალაკტიონი ელის „ძველთა დროთა დუდილის“ ვერგადარჩენას. ლექსის მიხედვით, *ნგრევა! ახალ ტოლების არის შემოქმედება* (ტაბიძე, 1966ბ, გვ. 208). ამ ქაოსში ახალი დღის „შემოჭრა“ *პოეტების უკეთესი წყების*

(იქვე, 209), „ახალგაზრდა სკოლის“ „ხმაურს“ უკავშირდება – *ამ ქაოსი-დან მოველინა ახალი მუზა* (იქვე, გვ. 207).

ლექსში ძველისა და ახლის, ნგრევისა და შენების კონტრასტის ფონზე ამოიზრდება რუსთაველის სახეობა. მსოფლიოს ყველა შემოქმედთაგან მხოლოდ მას შეუძლია ხსნა –

*ყველა სახელებში მხოლოდ რუსთაველი
იხსნის განსაცდელით მრავალ საუკუნეს,
იგი უძლეველია და მზის ის თაველი,
რომელს მონობისთვის გზა ვერ გაუღუნეს*
(ტაბიძე, 1966ბ, გვ. 209).

აქ გალაკტიონი რუსთაველს გამოარჩევს „უძლეველობით“, რაც, სავარაუდოდ, ეპოქათა ქარტეხილებს გადარჩენილი, ფოლადივით ნაწრთობი და, ამავედროულად, უფაქიზესი სულის (*სიღბო ჰქონდა ნაქსოვისა და სიმტკიცე - ნაჭედისა* – სტრ.1137,4), „ვეფხისტყაოსნის“ უკვდავებას მიემართება. პოეტისთვის რუსთაველის „გენია“ მისი თავისუფლებაა, სიყვარულით, რწმენითა და იმედით, სიკეთითა და სიბრძნით გამშვენებული, „თაველის“ ერთსულოვნებით შეკრული, რომელიც შეუძრავია, ვით „ცის სვეტები“. განსხვავებით ზემოგანხილული ლექსებისა, რომლებშიც „ახალი“ რუსთაველი (ან მისი მოსვლა) იხილვება, „კოსმოსურ ორკესტრში“, ვფიქრობთ, რუსთაველი მედიუმია, მიწაზე მყარად მდგარი და ცას მიბჯენილი, ძველის მემკვიდრე და ახლის მშობელი, ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ დრო-სივრცეთა გადაკვეთის შუაგულში მდგარი. ამიტომაცაა მხსნელი და გადამრჩენი.

ზ. შათირიშვილის აზრით, *სწორედ ეს თვისება – მესიანურობა (ხსნა და გადარჩენა) აერთიანებს როგორც „ძველ“, ისე „ახალ“ ნარატივებს* (შათირიშვილი 2004, გვ. 158).

ლექსის დასასრულს კვლავაც რუსთაველთან შეხმიანებაა. რუსთაველურ განსახოვნებას „უცხო მოგონებათა“ წყება აღძრავს –

*ქარი დგება, ეხლა შამშში
განისვენა ღომმა*
(ტაბიძე, 1966ბ, გვ. 210).

„ვეფხისტყაოსნისეული“ რემინისცენცია კოსმიური ორკესტრის მრავალ და საშიშ ხმიანობაში სიმშვიდის, გარინდების, სიწყნარის გან-

ცდას ბადებს, რომელსაც „ერთი სიმის“ ჰანგი და სერაფიმის გამოჩენა მოჰყვება. თუმცა, ლექსის დასასრულს გალაკტიონი კვლავაც „მსოფლიო ნგრევის“, აპოკალიპსის, მოლოდინშია, რომელიც ახალ შემოქმედთა და ახალ შემოქმედებას მიემართება.

გალაკტიონის პოეზიის შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ რუსთაველის სახეა-სახელი მის შემოქმედებაში, ძირითადად, სამი ასპექტითაა წარმოჩენილი, კერძოდ, რუსთაველის პერსონის მნიშვნელოვნება, რუსთაველი – საქართველოსა და ქართველი ხალხის სახეიდეა (აქვე – რუსთაველი „მესხი მელექსე“) და „ახალი რუსთაველის“, როგორც ახალი ეპოქის „ახალი“ პოეტის იდეალის სახეიქმნადობა.

გამოყენებული ლიტერატურა:

თეიმურაზ I (1933). თხზულებათა სრული კრებული, ტექსტი, გამოკვლევა და ლექსიკონი ალ. ბარამიძისა და გ. ჯაკობიას რედაქციით, თბილისი: „ფედერაცია“.

კენჭოშვილი, ი. (1999). გალაკტიონ ტაბიძის პოეტურ სამყაროში, თბილისი. ლომიძე, კ. (2004). „ვეფხისტყაოსნის“ რეცეფცია ქართველ მოდერნისტთა პოეზიაში, ფილოლოგიის დოქტორის (Ph.D.) აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია.

https://www.tsu.ge/assets/media/files/48/disertaciebi_2025/Kote_Lomidze.pdf

რუსთაველი, შოთა. (1966). „ვეფხისტყაოსანი“, თბილისი: „საბჭოთა საქართველო“ (ი.აბაშიძის, ალ. ბარამიძის, პ. ინგოროყვას, ა. შანიძის, გ.წერეთლის რედ.).

სირაძე, რ. (2008). კულტურა და სახისმეტყველება, თბილისი: „ინტელექტი“.

სულავა, ნ. (2002). გალაკტიონის ვარდთმეტყველება, „გალაკტიონოლოგია“, I, 137-143.

ტაბიძე, გ. (1966ა). თხზულებანი თორმეტ ტომად, I, თბილისი: „საბჭოთა საქართველო“.

ტაბიძე, გ. (1966ბ). თხზულებანი თორმეტ ტომად, II, თბილისი: „საბჭოთა საქართველო“.

ტაბიძე, გ. (1966გ). თხზულებანი თორმეტ ტომად, III, თბილისი: „საბჭოთა საქართველო“.

ტაბიძე, გ. (1966დ). თხზულებანი თორმეტ ტომად, II, თბილისი: „საბჭოთა საქართველო“.

ტაბიძე, გ. (1967). თხზულებანი თორმეტ ტომად, V, თბილისი: „საბჭოთა საქართველო“.

ტაბიძე, გ. (1968). თხზულებანი თორმეტ ტომად, VI, თბილისი: „საბჭოთა საქართველო“.

- ტაბიძე , გ. (1970). თხზულებანი თორმეტ ტომად, VIII, თბილისი: „საბჭოთა საქართველო“.
- ტაბიძე , გ. (1971). თხზულებანი თორმეტ ტომად, VIII, თბილისი: „საბჭოთა საქართველო“.
- ტაბიძე , გ. (1972). თხზულებანი თორმეტ ტომად, IX , თბილისი: „საბჭოთა საქართველო“.
- ტაბიძე , გ. (1973). თხზულებანი თორმეტ ტომად, X, თბილისი: „საბჭოთა საქართველო“.
- ტაბიძე, გ. გალაკტიონის შემოქმედება.
(<https://galaktion.ge/?page=Poetry&id=2764>)
- ტაბიძე, გ. გალაკტიონის შემოქმედება.
(<https://galaktion.ge/?page=Poetry&id=3216>).
- შათირიშვილი, ზ. (2004). გალაკტიონის პოეტიკა და რიტორიკა, 1915-1927, თბილისი: „ლოგოს პრესი“.
- ხინთიბიძე, ე. (2004). „რუსთაველი მახსოვს ბავშვი“, „გალაკტიონოლოგია“, III, 99-129.

References:

- K'ench'oshvili, I. (1999). Galak't'ion T'abidzis p'oet'ur samq'aroshi. [In the Poetic World of Galaktion Tabidze]. Tbilisi.
- Khintibidze, E. (2004). "Rustaveli makhsovs bavshvi". ["I Remember Rustaveli as a Child"]. *Galaktionologia*, III, 99-129.
- Lomidze, K'. (2004). "Vepkhistq'aosnis" retseptsia Kartvel modernist'ta p'oeziashi. [Reception of "The Knight in the Panther's Skin" in the Poetry of Georgian Modernists] (Doctoral Dissertation). Ivane Javakhishvili Tbilisi State University. https://www.tsu.ge/assets/media/files/48/disertaciebi_2025/Kote_Lomidze.pdf
- Rustaveli, Sh. (1966). "Vepkhist'q'aosani" (I. Abashidzis, A. Baramidzis, P'. Ingorok'vas, A. Shanidzis, G. Ts'eretelis red.). [*The Knight in the Panther's Skin*]. (Edited by I. Abashidze, A. Baramidze, P. Ingorokva, A. Shanidze, and G. Tsereteli.). Tbilisi: "Soviet Georgia".
- Shatirishvili, Z. (2004). Galak't'ionis p'oet'ik'a da rit'orik'a, 1915-1927. [Galaktion's Poetics and Rhetoric, 1915-1927]. Tbilisi: "Logos Press".
- Siradze, R. (2008). K'ult'ura da sakhismet'q'veleba. [Culture and Imagery]. Tbilisi: "Intellecti".
- Sulava, N. (2002). Galak't'ionis vardtmetq'veleba. [Galaktion's Rose Symbolism]. *Galaktionologia*, I, 137-143.
- T'abidze, G. (1966a). Tkhzulebani tormet' t'omad, I. [Collected Works, Vol. I]. Tbilisi: "Sabch'ota Sakartvelo".

- T'abidze, G. (1966b). Tkhzulebani tormet' t'omad, II. [Collected Works, Vol. II].
Tbilisi: "Sabch'ota Sakartvelo".
- T'abidze, G. (1966d). Tkhzulebani tormet' t'omad, IV. [Collected Works, Vol. IV].
Tbilisi: "Sabch'ota Sakartvelo".
- T'abidze, G. (1967). Tkhzulebani tormet' t'omad, V. [Collected Works, Vol. V].
Tbilisi: "Sabch'ota Sakartvelo".
- T'abidze, G. (1968). Tkhzulebani tormet' t'omad, VI. [Collected Works, Vol. VI].
Tbilisi: "Sabch'ota Sakartvelo".
- T'abidze, G. (1970). Tkhzulebani tormet' t'omad, VII. [Collected Works, Vol. VIII].
Tbilisi: "Sabch'ota Sakartvelo".
- T'abidze, G. (1971). Tkhzulebani tormet' t'omad, VIII. [Collected Works, Vol. VIII].
Tbilisi: "Sabch'ota Sakartvelo".
- T'abidze, G. (1972). Tkhzulebani tormet' t'omad, IX. [Collected Works, Vol. IX].
Tbilisi: "Sabch'ota Sakartvelo".
- T'abidze, G. (1973). Tkhzulebani tormet' t'omad, X. [Collected Works, Vol. X].
Tbilisi: "Sabch'ota Sakartvelo".
- T'abidze, G. Epoka Galaktionis [The Epoch of Galaktion].
<https://galaktion.ge/?page=Poetry&id=2764>
- T'abidze, G. Samshoblo chemi khmaurobs. [My Homeland Roars].
- Teimuraz I. (1933). Tkhzulebata sruli k'rebuli, t'ekst'i, gamok'vleva da leksik'oni Al.
Baramidzisa da G. Jak'obias redaktciit'[Complete Works, ed. by A. Baramidze and G. Jakobia]. Tbilisi: "Federation".
<https://galaktion.ge/?page=Poetry&id=3216>